

ANGLICISMS IN YOUTH LANGUAGE WITH NEW CONNOTATIONS

ანგლიციზმები მოზარდების ლექსიკაში ახალი კონოტაციებით

Lela Makhviladze

Doctor of Philology,

Associated Professor at Gori State University,
Gori, Chavchavadze str., 53, 1400, Georgia,
(+995) 577251210, lelamakhviladze@gmail.com
<https://orcid.org/0009-0007-5561-085X>

Abstract. In this paper we deal the phenomenon of social variation of the language using the example of the already generally recognized sociolect, the so-called “youth language” - the way teenagers, students and members of various youth groups speak. What is meant here is primarily the special vocabulary.

Youth language is a complex language phenomenon and the vocabulary of teenagers and youth is original and variable. It is widely expressed and well-studied sociolect in specific language variants.

Youth language is a mean of integration and separation of youth from the world. The phenomenon of group-specific language usage by young people, which is mainly characterized by stylistic-connotative, emotional-expressive and -evaluative meaning elements, as well as provocative (taboo, vulgar) vocabulary, creative/original and metaphorical forms, non-standard short words and hybride new word models, etc. is studied.

In the paper the wide usage of Anglicisms and Americanisms often used by young people to create “their own linguistic style” is discussed and the forms that are more or less integrated in the German language system and the forms which are often used by young people with new connotations are presented.

Based on the obtained and analyzed factual material, the paper presents the variants of slang of young people („Disco-Deutsch“, „Hip-Hop-Jargon“) and linguistic means, examples of Anglicisms and German-English mix (so called „Denglisch, Anglodeutsch“).

In the article some peculiarities in the word formation and lexis, that distinguish the youth language specific lexis and the original youth language style from the standard language is highlighted.

Keywords: Youth Language/Language of the Young, sociolect, Sublanguage/Group language, Neologisms, Anglicisms, Word formation, Connotation, emotional-evaluative and -expressive vocabulary

ლელა მახვილაძე

ფილოლოგიის დოქტორი
 გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 ასოცირებული პროფესორი,
 ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., 53, 1400, საქართველო,
 (+995) 577251210, lelamakhviladze@gmail.com
<https://orcid.org/0009-0007-5561-085X>

აბსტრაქტი. ნაშრომში შესწავლილია ენის სოციალური ვარიანტების ფენომენი გერმანულენოვან სივრცეში უკვე საყოველთაოდ აღიარებული სოციოლექტის ე. წ. „Jugendsprache“ - მოზარდთა, სტუდენტთა, სხვადასხვა ახალგაზრდული ჯგუფების წევრთა მეტყველების მაგალითზე, რაც უპირველესად გულისხმობს სპეციფიკურ ლექსიკას და ენობრივ თავისებურებებს (Sonderwortschatz). იგი, როგორც ჯგუფში ინტეგრაციისა და გარემოსგან გამიჯვნის საშუალება, ყველაზე მკვეთრად გამოხატული და კარგად შესწავლილი სოციოლექტია სპეციფიკური ენების ვარიანტებში.

მოზარდების/ახალგაზრდების მეტყველება არის კომპლექსური ენობრივი ფენომენი, ლექსიკა ორიგინალური და ცვალებადია.

შესწავლილია მოზარდების სამეტყველო ქცევის ფენომენი, რომლისთვისაც უპირატესად დამახასიათებელია ორიგინალური, კონოტაციურ-სტილისტური, ექსპრესიული, ემოციურ-შეფასებითი მნიშვნელობის ელემენტებიანი, ასევე პროვოკაციული (ტაბუირებული, ვულგარული) ლექსიკის გამოყენება, შემოქმედებითად განვითარებული მეტაფორული ფორმები, არასტანდარტული შეკვეცა-შემოკლებები, ჰიბრიდული ახალწარმოქმნები და სხვ.

წინა პლანზეა წამოწეული ახალგაზრდების მიერ საურთიერთოდ „საკუთარი“ ენობრივი სტილის შექმნის მიზნით ანგლიციზმების და ამერიკანიზმების განსაკუთრებით ხშირი, იმავდროულად თავისებური გამოყენება გერმანულ ენაში. წარმოდგენილია გერმანული ენის სისტემის კანონზომიერებებს მეტ-ნაკლებად მორგებული ახალი ენობრივი ფორმები, რისთვისაც მოზარდები გამიჯნულად უცვლიან სიტყვას ფორმას ან გამოიყენებენ ახალი კონოტაციური მნიშვნელობით.

მოპოვებულ და გაანალიზებულ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ნაშრომში წარმოდგენილია ენობრივი ვარიანტები („Disco-Deutsch“, „Hip-Hop-Jargon“), ანგლიციზმების და გერმანულ-ინგლისურის აღრევის (ე. წ. „Denglisch, Anglodeutsch“) მაგალითები.

ნაშრომში სისტემურადაა წარმოდგენილი ენობრივი საშუალებები, რომლებსაც მოზარდები მიმართავენ. გაანალიზებული და ხაზგასმულია ზოგიერთი თავისებურება სიტყვაწარმოებასა და ლექსიკაში, რაც მოზარდების ლექსიკას, ახალგაზრდულ ორიგინალურ მეტყველების სტილს სტანდარტული ენისგან განასხვავებს.

საკვანძო სიტყვები: ახალგაზრდების მეტყველება, სოციოლექტი, ჯგუფური ენა, ნეოლოგიზმები, ანგლიციზმები, სიტყვაწარმოება, კონოტაციები, ემოციურ-შეფასებითი და ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკა

შესავალი. გერმანული ენა, როგორც ყოველი ბუნებრივი ენა, არ არის ერთგვაროვანი ფენომენი. იგი არსებობს ვარიანტული ფორმების (სუბსისტემების) სახით. ენობრივ ფორმათა ვარიანტულობა სივრცობრივ-გეოგრაფიულის გარდა სოციოკომუნიკაციურ ფაქტორებსაც უკავშირდება. სოციალური ენობრივი ვარიაციები მარკირებულია, მაგალითად, დარგობრივი, პროფესიული, ინტერესების, ასაკობრივი და სხვა დამახასიათებელი ნიშნის შესაბამისად, რადგან კომუნიკაციური ქმედება უშუალოდ უკავშირდება ენობრივი კოლექტივის დიფერენციაციას სოციალური ჯგუფების მიხედვით.

ენებს შორის ურთიერთზეგავლენა (გამოწვეული გეოგრაფიული, ისტორიულ-პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამეცნიერო-კულტურული პირობებით) და ენობრივი კონტაქტები აისახება ენობრივ ცვლილებებში, რაც ბუნებრივი და ენის განვითარების თანმდევი მოვლენაა. ინგლისური ენის ზეგავლენა სხვა ენებზე - განსაკუთრებით გერმანულზე - სულ უფრო და უფრო ინტენსიური ხდება. ანგლოამერიკანიზმების რიცხვი ტენდენციურად იზრდება თითქმის ყველა ენობრივ ფორმებსა თუ ვარიანტებში, განსაკუთრებით - მოზარდების ლექსიკაში, რაც ზოგჯერ ექსპერტებისგან „ენის დაქვეითებად“ („Sprachverfall“) მიიჩნეოდა (იხ. Machwiladse, 2015).

კვლევაში წინა პლანზეა წამოწეული ახალგაზრდული ჯგუფების მიერ მოზრდილთა სამყაროდან გამიჯვნისა და „საკუთარი“ ენობრივი სტილის შექმნის მიზნით ანგლიციზმებისა და ამერიკანიზმების განსაკუთრებით ხშირი, იმავდროულად თავისებური გამოყენება გერმანულ ენაში. წარმოდგენილია გერმანული ენის სისტემის კანონზომიერებებს მეტ-ნაკლებად მორგებული ახალი ენობრივი ფორმები, რისთვისაც მოზარდები გამიზნულად უცვლიან სიტყვას ფორმას ან გამოიყენებენ ახალი კონოტაციური მნიშვნელობით.

შესწავლილია მოზარდების სამეტყველო ქცევის ფენომენი. ამ ტიპის ენობრივი ვარიანტებისთვის უპირატესად დამახასიათებელია ორიგინალური, კონოტაციურ-სტილისტური, ემოციურ-ექსპრესიული, ემოციურ-შეფასებითი მნიშვნელობის ელემენტებიანი, ასევე პროვოკაციული (ტაბუირებული და ვულგარული) ლექსიკის გამოყენება, მისალმება/დამშვიდობების ორიგინალური ფორმები, სტანდარტული ენის ლექსიკიდან სიტყვების ფორმის ან მნიშვნელობის შეცვლა, არასტანდარტულად შეკვეცილ-შემოკლებული სიტყვები, ჰიბრიდული წარმოქმნები, შემოქმედებითად მორგებული მეტაფორული ფორმები და სხვ. გამოკვეთილია კონოტაციის (თანამნიშვნელობის) ცნება.

კვლევა ეფუძნება ცნობილ გერმანულ ენათმეცნიერთა: ჰ. ჰენეს, ე. ნოილანდის, ჰ. ელზენის, ე. რიომერი/ბ. მაკკეს, ჰ. ბრაუნის, ჰ. ალტმანის, ე.ვ.ბ. ჰეს-ლიუტიხის, თ. შიპანის, ვ. შმიდტის, ჰ. გლიუკის და სხვათა შრომებს და მათ მიერ შემუშავებულ თეორიულ და მეთოდოლოგიურ პრინციპებს. საკვლევი ინვენტარი მოძიებულია გერმანულენოვანი ლექსიკოგრაფიული წყაროებიდან (*Duden. Deutsches Universalwörterbuch: 42001 / 82015*) და სამეცნიერო ჟურნალებიდან, გამოყენებულია ინტერნეტმასალები (იხ. ბიბლიოგრაფია).

შემდგომში წარმოვადგენთ კვლევისთვის მნიშვნელოვანი ცნება-ტერმინების განმარტებებს.

მეთოდები. გამოყენებულია კვლევის რამდენიმე მეთოდი, კერძოდ, ემპირიული, სემური (კომპონენტური) ანალიზის, სიტყვის მნიშვნელობის აღწერის (ემოციურ-შეფასებითი, კონოტაციურ-სტილისტური, შეფასებით-კონოტაციური) მეთოდები. გამოკვეთილია ნიშნის მნიშვნელობის კომპონენტი, რომელიც მიუთითებს სუბიექტის შეფასებით და ემოციურ-ექსპრესიულ დამოკიდებულებას აღსანიშნი საგნის მიმართ.

შედგები და მსჯელობა. სამეცნიერო ლიტერატურაში ნეოლოგიზმებს სხვადასხვაგვარად განმარტავენ. ფართო გაგებით *ნეოლოგიზმებს* უწოდებენ ახალ ლექსემებს, სიტყვების ახალ მნიშვნელობებს და გამოთქმებს, რომლებსაც ენის მატარებელი დროის გარკვეულ პერიოდში გამოიყენებს, თუმცა მოცემული ენის ლექსიკურ მარაგში ისინი ჯერ არ დამკვიდრებულა (დამკვიდრების პროცესში). ერთეულები, რომლითაც ენის ლექსიკური ფონდი მდიდრდება, შესაძლებელია იყოს (ენაში არსებული სიტყვათა ძირებისა და სიტყვამაწარმოებელი მორფემების საფუძველზე შედგენილი) ახალწარმონაქმნები, ან უკვე არსებული სიტყვების ახალი მნიშვნელობები, ასევე სხვა ენებიდან ნასესხები სიტყვები (იხ. B. Schaefer, in: Glück, 1993: 415; Fr. Schmöe, in: Glück, 2010: 454).

მოზარდების ლექსიკა. კონოტაციის ცნება. ლიოფლერი (Löffler) ასაკობრივად მარკირებულ ენობრივ ვარიანტებს (Lebensalterssprachen) განიხილავს როგორც „ტრანზიტორულ სოციოლექტებს“ „transitorische Soziolekte“ და მოცემული ტერმინის ფარგლებში განასხვავებს ოთხ ასაკობრივ საფეხურს, მათ შორის - მოსწავლეებისა და მოზარდების ლექსიკა/მეტყველებას¹ (Römer/Matzke, 2003: 48-49).

მოზარდები მთელ მსოფლიოში - მათ შორის, გერმანიაშიც და საქართველოშიც - საურთიერთოდ გამოიყენებენ მეტყველების თავისებურ სტილს. „საკუთარი ენის“ მეშვეობით ისინი ემიჯნებიან როგორც უფროსი ასაკის ადამიანებს, უპირველესად კი მასწავლებლებს და მშობლებს, ასევე სხვა ახალგაზრდულ ჯგუფებს. ბუნებრივია იგულისხმება არა დამოუკიდებელი ენები, არამედ ახალგაზრდების მიერ გამოყენებული „სპეციფიკური ლექსიკა (Sonderwortschatz)“ თავისებური წარმოთქმით, სპეციფიკური გამოთქმებით, ფრაზეოლოგიზმებით და სხვა ენობრივი საშუალებებით (Schmidt, 2008: 34-35; Schönfeld, in: Kleine Enzyklopädie, 1983: 447).

გერმანულ ლინგვისტიკაში ე. წ. „Jugendsprache“ „მოზარდების ლექსიკა/მეტყველება“ აქტუალური შესწავლის საგანია. აღნიშნული ტერმინი ხშირად გამოიყენება მრავლობითი რიცხვის ფორმით „Jugendsprachen“². ამ არატერმინოლოგიზებული გამაერთიანებელი (კოლექტიური) ცნებით აღნიშნავენ მოზარდების მიერ თანატოლებთან საურთიერთოდ გამოყენებულ „პოპულარულ ახალგაზრდულ ლექსიკას“ („populäre Jugendlexika“, E. Neuland) და მეტყველების სპეციფიკურ სტილს, რომელიც დამახასიათებელია შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფებისათვის. ლინგვისტები საუბრობენ მასზე, როგორც კომპლექსურ ფენომენზე (Komplexphänomen) (Földes, 2019: 123). ენობრივი ფენომენი გულისხმობს სკოლის მოსწავლეთა/თინეიჯერების (Schüler-/Teenager-Sprache), სტუდენტების (Studentensprache), დისკოწევრთა (Diskosprache), კულისების ხელოვანთა (Szenesprache) და სხვადასხვა ახალგაზრდული ჯგუფების (Hip-Hoper, Roller, Punks, Fans, Rocker, Diskobesucher, Hippies) ჟარგონულ ლექსიკას, რაც, როგორც ითქვა, გულისხმობს სპეციფიკურ ლექსიკას შეცვლილი მნიშვნელობით (ორიგინალურად შედგენილი ახალწარმონაქმნები და სიტყვების კომბინაციები, რომლებსაც ისინი თავისებურად ხსნიან), ასევე მეტყველების სტილს, და ნაკლებად - სინტაქსს.

სპეციფიკური ტიპის ვარიაციებში (Sondersprachen) განსაკუთრებით არის გამოხატული შენიღბვის, სხვებისგან გამიჯვნისა და ჯგუფში ინტეგრაციის ფუნქცია. ასეთ ენობრივ ვარიანტებს - ე. წ. „კონტრაენებს [...] სხვა დიდი სოციალური ჯგუფებიდან

¹ ლიოფლერი (H. Löffler, 1994) ე. წ. „ტრანზიტორულ სოციოლექტებში“ განიხილავს შემდეგ საფეხურებს, შესაბამისად ენობრივ ფორმათა ვარიანტებს: ბავშვთა მეტყველება, მოსწავლეებისა და ახალგაზრდების ლექსიკა, ზრდასრულთა პროფესიული ლექსიკა, ხანშიშესულთა ლექსიკა (Römer/Matzke, 2003: 48-49).

² მაგ., საერთაშორისო დარგობრივი კონფერენციისა და კრებულის სახელწოდება: Neuland, Eva (Hrsg.): Jugendsprachen – Spiegel der Zeit. Internationale Fachkonferenz 2001 an der Bergischen Universität Wuppertal. Frankfurt a/M. Berlin, ...: Lang 2003; იხ. ასევე Földes, 2019: 123).

გამიჯვნის უნარი გააჩნიათ (Jugendsprache, Geheimsprache), რომლებშიც ენობრივი კოდი ისე იცვლება, რომ ის უფრო დიდი ჯგუფისათვის გაუგებარი ხდება, და ამ ხერხით იგი იძენს შენიღბვის (შეფუთვის) ფუნქციას“ - წერს რაითი (იხ. J. Raith, in: Glück, 2010: 626).

მოზარდების ლექსიკა არ არის ახალი ფენომენი. მისი ადრეული ფორმა, რომელიც შემონახულია წერილობით, ე. წ. „Burschensprache“ სტუდენტების სოციოლექტია. გერმანიაში სტუდენტების ჟარგონული ლექსიკა ემპირიულად მოწმდება მე-16 საუკუნის დასაწყისიდან „in Form des damaligen Studentenjargons“³ (იხ. H. Ehmman: Jugendsprache und Dialekt, 9, in: Elias, 2017: 1). მე-18 საუკუნეში პირველი ლექსიკონების შედგენა მოხდა თვითონ სტუდენტების მიერ (იქვე). ცნობილია ისეთი ვარიანტებიც, როდესაც სიტყვის თავდაპირველი მორფოლოგიური სტრუქტურის შეცვლის მიზნით ხდებოდა ბგერების დამატება, მაგალითად, სანკტ გალენში მე-15 საუკუნის I ნახევარში პოპულარული „b-ენა“ (sog. b-Sprache von St. Gallen: Abavebe Mabaribiaba < Ave Maria). იგი დღესაც პოპულარულია ზავშვებში „Räubersprache“-ს (‘ყაჩაღების ჟარგონი’) სახელით (J. Raith, in: Glück, 2010: 626).

მოზარდობის ასაკს ჰენე ახასიათებს როგორც „ენობრივი პროფილირების/პროფილის ჩამოყალიბების“ („Sprachprofilierung“) პერიოდს, რადგან თვლის, რომ მოზარდებში სწორედ ამ ასაკიდან (სავარაუდოდ იგი იწყება ცამეტი წლიდან და სხვადასხვა ასაკში მთავრდება) ხდება მოზრდილთა სამყაროზე ორიენტირებული იდენტობის ჩამოყალიბება, რაც უპირველესად გულისხმობს „საკუთარი ენობრივი სტილის პოვნას“ (Henne, 1982: 372). ემპირიულ საფუძველად ჰენე ასახელებს მოზარდების საუბრებს, მიმოწერა/წერილებს და ახალგაზრდულ ლიტერატურას, რომელშიც იგულისხმება დღიურები და მისთ. აქ საქმე ეხება მოზარდების საუბრის კვლევას, რაც გულისხმობს სასაუბრო სტრუქტურებსა და სიტყვებს, მოზარდების მეტყველების თავისებურებებს, სასაუბრო ლექსიკას და სიტყვაწარმოებით საშუალებებს.

ჰენეს მიხედვით, მოზარდების ლექსიკა „Jugendsprache“ ეს არის „სპეციფიკური ლექსიკის გამოყენებით საუბარი და წერა, რის საშუალებითაც მოზარდები და მისთანები თავის ენობრივ პროფილს/სტილს პოულობენ და ამით თავის იდენტობას (Identität) იძენენ“ (Henne: 373). ასეთი „ენობრივი პროფილირება“ გულისხმობს იმ შესაძლებლობას, რომ მოზარდს თავის ასაკობრივ ჯგუფში ჰქონდეს საკუთარი „ახალგაზრდული ტონი/სტილი“ „Jugendton“ - წერს ჰენე (იქვე). ალტმანიც (Altmann) შენიშნავს, რომ ენობრივი გამიჯვნა, რომელიც, ერთი მხრივ, მოზარდებს მოზრდილებისგან ამორებს სლოგანით „Trau keinem über 30“ (‘წურავის ენდობი 30-ის ზევით’), მეორე მხრივ, ხელს უწყობს მათში ჯგუფური გრძნობის გაჩენას (Altmann, 1986: 306).

მოზარდების ლექსიკა ორიგინალური და ცვალებადია. ორიგინალობა იწყება მისალმებით ან მიმართვით. ნოილანდი (Neuland, 2015) თავის კვლევაში, რომელიც მოზარდების მისალმების ენობრივ ფორმებს ეძღვნება, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მათ მიერ გამოყენებული ფორმების დიფერენციაციას უპირველესად ადრესატის მიხედვით, ე.ი. ადრესატი მოზარდის თანატოლია თუ მოზრდილი, განსაკუთრებით კი მასწავლებელი. გარდა ამისა, იგი ითვალისწინებს მოზარდის ასაკობრივ საფეხურს, სკოლის ფორმა-ტიპს, მოსწავლის სქესს და იმ ფაქტორსაც, გერმანული მისთვის მშობლიურია თუ მეორე ენა. აღნიშნულ სოციოლინგვისტურ კვლევაში გამოკვეთილია ცვლილებები მოზარდების ლექსიკაში. მაგალითად, ჯგუფის წევრები (ურთიერთ)მისალმების დროს გამოიყენებენ შემდეგ ფორმებს და უცხო სიტყვებს: Du, Hallo / He, was geht, Hau rein / Alles fit? / Hey Bella! / Hallöchen / Chirio / Jo Digga! / Heyho! / Peace! და სხვ. (იქვე, მაგალითები ავტორისაა). ჯგუფის წევრები ერთმანეთს უწოდებენ Kids [das Kid, -s, (უმეტ. მრ. რ.) < engl. kid = Kitz] (DUW, 2001: 896). თუმცა ახალგაზრდა მამაკაცთან უმეტესად გამოიყენება მიმართვის ფორმა: Alter (Jugendspr.) ‘მმაო, მეგობარო’:

³ ‘იმდროინდელი სტუდენტური ჟარგონის ფორმით’ (იხ. მითითებული ლიტერატურა).

Hey, Alter, alles klar?. ახალგაზრდულ ჟარგონში -o და -i სუფიქსით წარმოება საკმაოდ ხშირია, მაგ.: Babo (für Boss, Anführer < თურქ. baba), Macho, Prolo,⁴ Mollo (Molotowcocktail), Disko/Disco, Homo (Homosexueller), Tussi, Softi/Softy/Softie (Glück/Sauer, 1990: 78, 81). პრაგმატულ დონეზე თვალშისაცემია ნაწილაკების ხშირი გამოყენება (Henne, 1982; Altmann, 1986; Elsen, 2002).

მოზარდები გამოიყენებენ ასევე ტაბუირებულ სიტყვებს (მათ შორის სექსუალური სფეროდან) ხშირად შემოკლებული ფორმით, მაგალითად, „af“ (< as fuck, 2016 წლიდან გამოიყენება გამონათქვამის გამაძლიერებლად), მნიშვნელობით 'მეტისმეტად, ძალიან': „Ich bin müde as fuck.“ 'საშინლად ვარ დაღლილი'.⁵

რაც შეეხება კონოტაციის (თანამნიშვნელობის) ცნებას, იგი დენოტაციური (საგნობრივი) მნიშვნელობისაგან განსხვავებით „განისაზღვრება როგორც ნიშნის მნიშვნელობის ის კომპონენტი, რომელიც ასახავს სუბიექტის შეფასებით დამოკიდებულებას აღსანიშნის მიმართ“ (გვენცაძე/Gwenzadse⁶, 2009: 128). როგორც ჰელბიგი განმარტავს, კონოტაციური მნიშვნელობა შეიძლება შეიცავდეს „დამატებით - სემანტიკურ, სტილისტურ, ემოციურ, ექსპრესიულ, შეფასებით - მნიშვნელობის ელემენტებს, რომლებიც ძირითად მნიშვნელობასთან არის დაკავშირებული“ (G. Helbig (1969), in: Schippan, 2002: 156). გარდა ამისა, მოიაზრება „ყველა ის სემა, რომელიც სძენს სიტყვას ნებისმიერ დამატებით - არა მხოლოდ წმინდა კონოტაციურ-სტილისტურ - მინიშნებას, მაგალითად, დიალექტურს, სასაუბროს, სოციალურს“, - წერს გვენცაძე (გვენცაძე: იქვე). მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება მოზარდების მიერ „საკუთარი ენის“ (მეტყველების საკუთარი სტილის) შექმნის მიზნით სპეციფიკური ლექსიკის ხმარებას, მათ შორის, ენობრივი სტანდარტიდან, თუმცა შეცვლილი მნიშვნელობით. მაგალითად, სიტყვა geil, რომელიც გერმანულ სტანდარტულ ენაში 'სქესობრივ ლტოლვას' აღნიშნავს უმეტესად ნეგატიური კონოტაციით, მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან გვხვდება მოზარდების ჟარგონში ახალი ემოციურ-პოზიტიურ-კონოტაციური მნიშვნელობით 'მაგარი, განსაკუთრებულად კარგი' (Der Sprachdienst, 1999: 234-235).⁷ უფრო მეტიც, დღეს აქტიურად გამოიყენებენ სიტყვის გაორმაგებულ ექსპრესიულ ფორმებსაც: affengeil, oberaffengeil, ultraoberaffengeil, turbogeil, ultrageil, endgeil, megageil, hypergeil.

ამდენად, მოზარდების სამეტყველო ქცევა გულისხმობს გარემოსგან გამიჯვნა-გათიშვის და ჯგუფში სოლიდარობის მკვეთრად გამოხატულ ამოსავალ პრინციპს, რაც გამოხატულია შემდეგი სლოგანით: „Abgrenzung nach außen, Solidarisation nach innen!“.

ელზენი შენიშნავს, რომ ახალგაზრდების მეტყველება ინფორმაციის გადაცემასთან ერთად ენობრივ ფორმებზე უფრო მეტად მიუთითებს ისეთი სოციალური საჭიროებების გამოკვეთაზე, როგორცაა საკუთარი თავის წარმოჩენა, სოლიდარობა და გამიჯვნა („Selbstdarstellung, Solidarität und Abgrenzung“, Elsen, 2002: 136). მოზარდების სამეტყველო ქცევა და სტილი არაერთგვაროვანი და ცვალებადია, რადგან, როგორც ელზენი აღნიშნავს, ენობრივი მოვლენა არ გულისხმობს ჰომოგენურ ჯგუფებს, არამედ მიუთითებს ფენომენის განსხვავებულ ფორმებზე („Vielfalt der Erscheinungsformen“), კერძოდ, რეგიონალურ, სოციალურ და დროის ფაქტორიან სუბტიპებზე (იქვე: 138).

შესაბამისად, ახალგაზრდული ლექსიკა და სასაუბრო ენა სხვადასხვა რეგიონში ხშირად განსხვავებულია, რადგან თითოეული ენობრივი ჯგუფი ცდილობს ჰქონდეს მეტყველების, ენობრივი გამოხატულების საკუთარი ფორმები, რითაც ისინი გაემიჯნებიან სხვა სოციალურ ჯგუფებს. ჯგუფის წევრები მუდმივად ზრუნავენ

⁴ ob. https://kulturinstitut.org/fileadmin/Sprachstelle/pdf_Publikationen/Nachlese/Sprache_und_Gesellschaft/Interview_Eva_Neuland_Nachlese.pdf

⁵ <https://www.bedeutungonline.de/was-bedeutet-af-as-fuck-auf-deutsch-bedeutung-definition-und-wortherkunft/>

⁶ წიგნი: გვენცაძე/Gwenzadse (2009) ორენოვანია.

⁷ ob. ასევე: <https://slowgerman.com/2017/11/21/jugendsprache/>

„საკუთარი ენის“ განახლებაზე. მათთვის ასევე მიუღებელია, როდესაც მოზრდილები, საერთო ენის გამონახვის მიზნით, გამოიყენებენ მათ ლექსიკას. ასეთ შემთხვევაში საკუთარ გამოთქმებს დაუყოვნებლივ ახლით ჩაანაცვლებენ. მოზარდები სიტუაციის შესაბამისად ადგენენ არასტანდარტულ ინდივიდუალურ წარმონაქმნებს, მეტყველებაში ხშირად გამოიყენებენ სასიგნალო სიტყვებს და ნაწილაკებს *ey, cool, echt, toll*. მაგალითად, სიტყვა *cool* 'შვიდად, აუღელვებლად' ინგლისური ნასესხობაა, მოზარდები მას გამოიყენებენ ახალი მნიშვნელობით: 'მაგარი', 'განსაკუთრებით მოსაწონი, იდეალური' ('in hohem Maße gefallend, der Idealvorstellung entsprechend'): Auf der Fete waren unheimlich *coole* Leute; Die Musik war *echt cool*. (DUW, 2001: 342).

ანგლიციზმები მოზარდების ლექსიკაში. როგორც ითქვა, კვლევის ცენტრში დგას მოზარდების მეტყველებაში ანგლიციზმების და ამერიკანიზმების განსაკუთრებულად ხშირი და თავისებური გამოყენება. მოკლედ ტერმინის შესახებ: *ანგლიციზმი* არის „ინგლისურიდან გერმანულ ენაში მეტად ან ნაკლებად ინტეგრირებული ლექსიკური, მორფოლოგიური, გრაფემული ან სინტაქსური ნასესხობა“, მაგ.: სიტყვა *Keks* (< engl. cakes) ფონოლოგიური და გრაფემატული (ორთოგრაფიული) ნიშნით მთლიანად ინტეგრირებულია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში სემანტიკურად და პრაგმატულად ინტეგრირებული ანგლიციზმები ინარჩუნებენ ორიგინალურ წერით ფორმას (ნაწილობრივ ბგერადობასაც): *Jetlag, Computer, Fake* etc. ანგლიციზმებს შეუძლიათ სიტყვაწარმოებით პროცესში მონაწილეობა როგორც ბაზისი/ფუძე: *Jaenshose*. დარგობრივ და სპეციფიკურ ენებში აქტიურად იხმარება ინგლისურენოვანი ტერმინოლოგია (*downloaden, upgraden*) (Fr. Schmoe, in: Glück, 2010: 43, მაგალითები ავტორისაა).

შმიტცი, ეყრდნობა რა გერმანული სალიტერატურო ენის სიტყვათა ფონდში (1990-2000) შტეფენსის (Steffens, 2003) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს, აღნიშნავს, რომ ნეოლოგიზმების უდიდესი ნაწილი ანგლოამერიკული ნასესხობაა, ან - როგორც ჰიბრიდული წარმონაქმნები/შერწყმული ფორმები (*Mischbildungen*) ან ფსევდონასესხობები (*Scheinentlehnungen*) - ანგლოამერიკული ლექსემების საშუალებით არის წარმოქმნილი (Schmitz, 2004: 66)⁸. ანგლიციზმებმა გერმანული ენის სახელმძღვანელოებშიც შეაღწია, წერს შმიტცი და ასახელებს: *Brainstorming, Cluster, Mindmapping, Checkliste, Pool* (იქვე: 76). ჩვენ დავამატებთ: *Dresss-code, Start-up, Outfit, Smalltalk, Shoppen, Speed-Datings, Toast, App, Babysutting, Blog/bloggen, Job, cool* და სხვ.

მოზარდებს საკმაოდ კარგი ენობრივი კომპეტენცია გააჩნიათ, ისინი მუდამ ახდენენ სიტუაციის შეფასებას და საკუთარი ლექსიკის განახლებას ორიგინალური, შემოქმედებითად განვითარებული მეტაფორული ფორმებით. აქვთ ახალწარმონაქმნების, სიტყვათა კომბინაციების წარმოების ალღო. მაგალითად, ახლახან გაჩნდა სრულიად ახალი სიტყვა *Covidiot*⁹. იგი აღნიშნავს 'პირს, რომელიც პანდემიის დროს ჯანმრთელობის საყოველთაო რჩევებს არ იზიარებს, კორონაკრიზისის საფრთხეს სერიოზულად არ აღიქვამს და საკუთარ თუ სხვის ჯანმრთელობას საფრთხის ქვეშ აყენებს'.

Denglisch, Denglisierung / Anglodeutsch. მოზარდები საკუთარი ენობრივი სტილის შექმნის მიზნით განსაკუთრებით ხშირად გამოიყენებენ ანგლიციზმებს (არც თუ იშვიათად შეცვლილი მნიშვნელობით), რადგან მიაჩნიათ, რომ ეს ერთგვარი „პრესტიჟია“, იმავდროულად ამ ხერხით ემიჯნებიან უფროსებს. აქტიურად გამოიყენება ფორმები: *o.k./okay, cool, happy, wow, hey, bye-bye, sorry, Teenager (Teenie, Teeny), Kids, Girls, Boots, Show, Hit, Team, event, high*, და სხვ. ყოველდღიურ კომუნიკაციაში, განსაკუთრებით სარეკლამო ტექსტებსა თუ ტელეგადაცემებში ინგლისური და ფსევდოინგლისური

⁸ დ. შტეფენსის (D. Steffens 2003: 2ff) მიხედვით, ნეოლოგიზმების 42% ნასესხებია ინგლისურიდან, შემდეგი 17% არის ჰიბრიდი-წარმონაქმნები (*Outdoorjacke*) და ფსევდონასესხობები (*Servicepoint*).

⁹ „Covidiot - Person, die sich nicht an Gesundheitsempfehlungen hält, den Ernst der Coronakrise ignoriert, die Gesundheit anderer in Gefahr bringt und in großen Mengen hamstert“ (n.d).

სიტყვების მეტისმეტად მრავალმხრივი გამოყენება გადაჭარბებულად აღიქმება, რაც ხშირად გაუგებარიცაა: ოთახის დაჯავშნის დამადასტურებელი “Voucher”-ით შეგიძლია “im Hotel einchecken”, მაღაზიები რეკლამისთვის გამოიყენებენ უჩვეულო “sale”-ს, აეროპორტებსა და სადგურებში ტუალეტზე მიუთითებს “McClean“, თუ გვინდა ყავა მუყაოს ჭიქით, უმჯობესია გამოიყენო ფორმა “Kaffee to go”, რადგან, როგორც ჩანს, ინგლისური უფრო თანამედროვედ ჟღერს და “cool“ არის, მაგ.:

- [ბენ] „[Wir] joggen, walken, trinken Kaffee, to go: Schick ist, wer Anglizismen nutzt.“ „Dauerlauf? Das sei ja ein lächerliches Wort. Natürlich müsse es joggen heißen“ (Kotthoff 2011, 1).
- Diese Bestätigung ist auch gleichzeitig der Voucher, mit dem Sie im Hotel einchecken können!

ექსპერტები ამ მოვლენისთვის გამოიყენებენ ირონიულ სახელწოდებებს „Denglisierung“, „Denglisch“, რაც ნიშნავს გერმანულ-ინგლისურის ნაზავს, „ხოლო მათ, ვინც ამ ნაზავზე საუბრობს „Denglisch-Schwätzer“ დაერქვათ“, წერს გვენცადე (გვენცადე/Gwenzadse, 2009: 50). ტერმინს „Denglisch“ (auch: Engleutsch, Deutschlish) განმარტავს გლუეკი როგორც: „Bezeichnung für Texte bzw. Arten des Sprechens im Deutschen, in denen ein Übermaß an Ausdrücken aus dem Englischen vorkommt, die wenigstens teilweise nicht allgemein verständlich sind.“ (Glück, in: Glück, 2010: 135).

ახალგაზრდული ლექსიკისთვის დამახასიათებელია არასტანდარტული შეკვეცილი ფორმები, სიტყვათა კომბინაციები, შეცვლილი, შემოქმედებითად ნაწარმოები მეტაფორული ფორმები, ჰიბრიდული წარმონაქმნები, მაგ., B-Boy, B-Girl, YOLO, FIBO (Fitness & Bodybulding), Second-Hand Mädchen, Lieblingsoutfit, fly sein, Smombie (კონტამინაცია: Smartphone + Zombie), Tinderella. ჰიბრიდული ფორმა Wort-Checker (< engl. checken ‘kapieren, verstehen, begreifen’ ‘გაგება, მიხვედრა’) ავტორს გამოყენებული აქვს თავისი წიგნის სახელწოდებაში: Stephanie Paul (2010): „Ey Alter, du bist voll der Wort-Checker“. Jugendsprache. Eine empirische Untersuchung. Hamburg. (Sprachnachrichten, 2012: 21).

ანგლიციზმებისა და გერმანულ-ინგლისურის აღრევის (Denglisch) საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენს ბირშტედტი თავის წიგნში: Rainald Bierstedt (2020): „Anglizismen in der Jugendsprache: Handreichung für Groß-/Eltern, um Teenager besser verstehen zu können“¹⁰ სრულიად გასაგები მიზნით: დაეხმაროს მოზრდილებს ახალგაზრდულ ლექსიკაში უკეთ გასარკვევად. წარმოვადენთ მათგან რამდენიმე ნიმუშს შესაბამისი განმარტებით გერმანულ სტანდარტულ ენაზე:

- *clustern* (< to cluster - ‘sich sammeln’ ‘gruppieren’ ‘eine Gruppe bilden’ ‘შეკრება, დაჯგუფება’): „Oh, Mum, wir wollen doch heute nur *clustern*.“ (= სტანდარტული ენა: ‘Oh Mum, wir wollen uns doch heute nur mit Freunden treffen.’)

- *flashen* (< to flash - ‘blitzen’ ‘გაელვება’, ‘aufblitzen, blinken’ ‘ციმციმი, ბრწყინვა’):

Mit *flashen* meint man: hart zuschlagen, boxen, so dass man „Sternchen sieht.“

- YOLO (< “You Only Live Once” - ‘Man lebt nur einmal’ ‘მხოლოდ ერთხელ ცოცხლობ’):

YOLO - აკრონიმი/შემოკლებული ფორმა გამოთქმიდან: “You Only Live Once”: "Ey, Alter, Yolo" ‘ჰეი, მეგობარო, შენ მხოლოდ ერთხელ ცოცხლობ’ (Alter ‘Kumpel, Freund’ ‘ძმავი (ძმაცაც), მეგობარო’ - მიმართვა). 2012 წელს გერმანიაში „YOLO“ წლის მოზარდების სიტყვად (“Jugendwort des Jahres 2012”¹¹) დაასახელეს. დღეს იგი ძალიან გავრცელებული ფორმაა და ითვლება ინტერნეტ-ქსელის ჟარგონად.

- B-Gerl: “Schau mal, dort ist das *B-Gerl* von gestern.“

¹⁰ <https://www.scribd.com/book/468471090/Anglizismen-in-der-Jugendsprache-Handreichung-fur-Gro%C3%9F-Eltern-um-Teenager-besser-verstehen-zu-konnen>

¹¹ <https://de.wikipedia.org/wiki/YOLO>

[https://de.wikipedia.org/wiki/Wort_des_Jahres_\(Deutschland\)#Jugendwort_des_Jahres](https://de.wikipedia.org/wiki/Wort_des_Jahres_(Deutschland)#Jugendwort_des_Jahres)

- hardcore: Traumhaft wie er sich verhalten hat. Das war echt *hardcore*.“ (მაგალითები ავტორისა).

საინტერესო მაგალითია I bims (< “Ich bin’s”). გამოთქმაში პირველი პირის ნაცვალსახელი ჩანაცვლებულია ინგლისური შესატყვისით, ხოლო მეორე ნაწილში ზმნა და ნაცვალსახელი ერთმანეთთან არის შერწყმული. I bims დასახელდა 2017 წლის მოზარდების სიტყვად “Jugendwort des Jahres 2017”⁸.

ინგლისური ენის ზეგავლენა უპირველესად ეხება გერმანული ორთოგრაფიის წესებს. პარალელურად გამოიყენება გერმანული და ინგლისური ვარიანტები, შდრ.: Disko/disco, Kids/kids, Kommicks/comics). ახალგაზრდებმა ინგლისურიდან ნასესხებ ზმნებსაც მთარგმნეს გერმანული ფლექსიური სისტემა, ანუ გააგერმანულეს (Hess-Lüttich, in: Götze/Hess-Lüttich, 2005: 602), შდრ., chillen ‘განტვირთვა’, chatten ‘ჩატში მიმოწერა’, shoppen ‘საყიდლებზე სიარული’, joggen ‘მუნძულით სირბილი’, ასევე: relaxen, walken, jammen, comebacken, live-acten; ხშირად გვხვდება გერმანული პრეფიქსებიც: lospowern, abchecken, einchecken. მაგრამ, არა მარტო ახალგაზრდები, ზოგჯერ მოზრდილი ადამიანებიც მიმართავენ ანგლიციზმებს და ნაცვლად გერმანული სტანდარტული ენისა გამოიყენებენ Denglisch -ს, როგორც, მაგ.: Sie müssen am Flughafen *einchecken*, durch die Welt *jetten*, haben eine Sache *gemanaged*, wollen einen Song *promoten* und müssen einen Termin *canceln* etc. (იქვე, მაგალითები ავტორისა). შდრ. ასევე:

comebacken (*zurückkommen* zu comeback, come-beck = ‘Neubeginn einer Karriere durch erfolgreiches Wiederauftreten nach längerer Pause’ (DUW 2001: 341); *abchecken* (1. ‘prüfen, kontrollierend abhaken’: die Passagiere *abchecken* (სიაში ადამიანების გადამოწმება გადახაზვით), 2. Jugendspr. überprüfen ‘გადამოწმება’: Hast du *abgecheckt*, wann der Film anfängt? – DUW 2001: 76); *einchecken* (‘abfertigen’); durch die Welt *jetten* (შდრ. Jett [საუბრ. რეაქტიული თვითმფრინავი, ძრავი, jetten – fliegen]; *canceln* etc.

სხვა მაგალითები: Ich habe das Programm *gedownloadet* oder *downgeloadet* (= Ich habe das Programm heruntergeladen), der Flug wurde *gencancelt* (= Der Flug wurde abgesagt; შდრ. ინგლ. to cancel < ფრანგ. cancellar < ლათ. cancellare, gitterförmig durchstreichen) (DUW 2015: 440, 368); mobben (Mia wurde wieder gemobbt. ‘მია ისევ დააბულინგეს.’).

Disco-Deutsch / Diskodeutsch. როგორც ბრაუნი აღნიშნავს, Disco-ენაში განსაკუთრებით თვალშისაცემია ლექსიკური გადახრები/უზუსტობანი. უფრო კონკრეტულად: სიტყვები აქ არ ხსნიან, არ განმარტავენ, არამედ „სიტყვების ხმარება გარედან დაფარვას, შენიღბვასა და დაშორებას ემსახურება“ „[...] Wortgebrauch steht im Dienste des Abschirmens, des Verhüllens und Sich-Entfernens“ (Braun, 1987: 52-53). Disco-ენაში განსაკუთრებით ხშირია ანგლიციზმების ხმარება. მოვლენის საილუსტრაციოდ საინტერესო მაგალითს ვნახულობთ წიგნში: Götze/Hess-Lüttich, 2005: 603. წარმოდგენილია ასევე მისი შესაბამისი სახეცვლილი ვარიანტი ენობრივ სტანდარტზე:

„Jogging ist sowieso der *Hit*, und wir sind *Sportsmen*, *Body Building* ist unser *Hobby*... Und wenn unser *Peacenik* einen *Joint* raucht und *high* ist ... dann hilft ihm ein *Workout* im *Fitness Center* über dem *Supermarket*.“ (nach Götze/Hess-Lüttich 2005: 603)

[Laufen ist beliebteste *Hobby*, und wir sind *Sportler*, *Körpertraining* (im Sportzentrum) ist unsere *Freizeitbeschäftigung*. ... Und wenn einmal unser *Friedensaktivist* eine *Marihuana-Zigarette* raucht und ganz *weg* ist ... dann hilft ihm ein starkes *Training* im *Sportzentrum* über der Großkaufshalle.] (Gwenzadse, 2002: 89)

როგორც ვხედავთ, სიტყვების და გამოთქმების უმეტესობა მოდის სტანდარტული ენიდან, თუმცა Disco-სტილში ისინი განიცდიან გარკვეულ სემანტიკურ ცვლილებებს, ასევე აქვთ დამატებითი სტილისტური და/ან შეფასებითი მნიშვნელობის კომპონენტი,

შდრ.: Hit – (საუბრ.) ‘Hobby’ (*Hobby – Freizeitbeschäftigung*), Workout – ‘Training’, Joint - ‘Marihuana’, high ist - ‘ganz weg ist’ (ჟარგ., ევფემიზმი) ‘ეიფორიულ განწყობაზე ყოფნა’.

Hip-Hop-Jargon. Hip-Hop-სუბკულტურას (*Hip-Hop-Subkultur*) საკუთარი ჟარგონი აქვს. ამ ენობრივი ვარიანტისთვის დამახასიათებელია ინგლისურიდან ნასესხები სიტყვების განსაკუთრებით ხშირი გამოყენება. ზოგიერთი ანგლიციზმისთვის დროთა განმავლობაში შეირჩა გერმანული შესატყვისი. Hip-Hop-ჟარგონის ზოგიერთი ფორმა გვხვდება ასევე სასაუბრო ენასა და მოზარდების ლექსიკაში. ამ სუბკულტურასთან პირდაპირ კავშირშია ე.წ. Hip-Hop-მუსიკა, ასევე Hip-Hop-სცენა, სადაც განვითარდა საკუთარი Hip-Hop-ჟარგონი.¹² საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

B-Boy / B-Girl - (< ინგლ. Break-Boy შესაბ. Break-Girl, სიტყვასიტყვით: ‘ბრეიკ-ბიჭი’ / ‘ბრეიკ-გოგონა’) მოზარდების ლექსიკაში გამოიყენება ბრეიკის მოცეკვავის აღსანიშნად, შდრ. Breakdance, Breaking, B-Boying შესაბამისად B-Girling - ასე აღნიშნავენ ქუჩაში შესრულებულ ცეკვის სახეს - აფროამერიკელი მოზარდების მოძრაობას Hip-Hop-Bewegung.

- down sein - ‘ცუდად ყოფნა, მოწყენილი ყოფნა’: „mit jmd. down sein“ ‘ვინმეს გაუგო’.

- fett – აღტაცების გამოსახატავად ‘super’, ‘großartig’, ‘geil’: ხშირად კომბინაციაში: „Derbst fett!“ ან ჩვეულებრივ: „Das ist fett!“, რაც ნიშნავს: „Das ist richtig gut“, oder auch „Verdammt geil“.

- fly – cool (,fly sein‘)

- Yeet - ბგერათა ჯგუფი/სიტყვა გამოხატავს სიხარულს, გამოიყენება როგორც შემახილი.

- Yo – გამოიყენება როგორც (კოლეგიალური) მისალმება, ან უბრალოდ სუბსტიტუტი სიტყვისთვის Ja ‘დიახ’, ან როგორც თავისუფალი ადგილის შესავსები სიტყვა, მაგ., როცა რეპერი იწყებს რეპს.

- chillen- ‘მოდუნება, დასვენება’

ენობრივი საშუალებები და თავისებურებანი.¹³ როგორც დავინახეთ, ენობრივი საშუალებები, რომლებსაც მოზარდები ანგლიციზმებთან დაკავშირებით მიმართავენ, ასევე მრავალფეროვანია. წარმოვადგენთ ზოგიერთ მათგანს:

პარალელურად გვხვდება ანგლიციზმების გერმანული და ინგლისური ვარიანტები (Kids/kids, Kommicks/comics, Disko/disco, Softi/Softy/Softie); ინგლისურიდან ნასესხები ზმნები გერმანული ფლექსიებით (chillen (=sich entspannen ‘მოდუნება, დასვენება’, *umg., bes. Jugendspr.*, საუბრ., უმეტესად მოზარდების ლექს.) sich abregen: komm, komm, nun chill dich mal!, DUW, 2015: 375), chatten (=sich unterhalten, plaudern (EDV) DUW, 373), shoppen, joggen, relaxen, walken, jammen, managen); ასევე გერმანული პრეფიქსები (lospowern, abchecken, einchecken); რთული ფორმები (comebacken); ანგლიციზმები გვხვდება ასევე: კომპოზიტების კომპონენტებად (Disko-Kids, Kids-Box), კომპლექსურ სიტყვებში (ultracool, megacool (*salopp, Jugendspr.*, =ultra-, mega- ჟარგონ., მოზარდების ლექს., გაძლიერება / *äußerst, Verstärkung; ემოციურ-პოზიტიური*), კონტამინაციებში, მაგ., Smombie (Smartphone & Zombie), Videot (Video & Idiot), Tinderella, ჰიბრიდულ სტრუქტურებში: Second-Hand Mädchen (*შემოკლ. ფორმა: Secondhandware*), Livesendung, Disko-Keller, Diskosprecher; top- (< nengl. top ,spitze‘): Toplage, Topleistung, =emotional-verstärkend, გაძლიერება, ემოციურ-პოზიტიური), გვხვდება ასევე: როგორც ფსევდოანგლიციზმები: Handy, Oldtimer. ზედსართავ სახელებში ნაკლებად ფიქსირდება ცვლილებები: cool, ob. ზემოთ), dreamy.

¹² Hip-Hop-კულტურის შემადგენელი ელემენტებია: Rap (MCing), DJing, B-Boing (Breakdance), Graffiti-Writing. <https://de.wikipedia.org/wiki/Hip-Hop-Jargon>

¹³ სხვა ენობრივი საშუალებების შესახებ იხ. გვენცაძე/Gwenzadse, 2009: 210; მახვილაძე, 2021.

მოზარდების ლექსიკისთვის დამახასიათებელია შემოკლება-შეკვეცილი ფორმები: Prolo (*salopp abwertend, bes. Jugendspr. abwertend, ჟარგონ, მოზარდების ლექს., ნეგატიური კონოტაც.*), აბრევიატურები (Buchstabenwörter): YOLO (< “You Only Live Once”, იხ. ზემოთ), პროდუქტიულია შემოკლებები, რომლებიც შედგენილია რთული სიტყვის ან შესიტყვების საწყისი მარცვლებით ან ასოებით: FIBO (< Fitness, Bodybulding), B-Boy / B-Girl (< ინგლ. Break-Boy, Break-Girl), როგორც მეტაფორული და არასტანდარტული ფორმები: Covidiot (=ემოციურ-ნეგატიური, down sein, fly sein (=zu: to fly – fliegen, ‘ganz weg ist’, ჟარგონ., ევფემიზმი), არასტანდარტული შესიტყვებები/ფრაზები: “Kaffee to go” (*მოზარდების ლექსიკა*), სასიგნალო სიტყვები და ნაწილაკები ey, cool, echt, toll და სხვ.

დასკვნა. ამდენად, მოზარდების ენა, როგორც ასეთი, არ არსებობს, თუმცა არის ამ ასაკისთვის ტიპური მეტყველების სტილი შესაბამისი სპეციფიკური ლექსიკით. იგი კომპლექსური, ორიგინალური და მუდმივად ცვალებადი ფენომენია. მას, როგორც კონტრაენების ტიპის ვარიაციას, აქვს შენიღბვის და ჯგუფში ინტეგრაციის ფუნქცია. მთელ მსოფლიოში მოზარდების ლექსიკა (როგორც ეროვნული ისე უცხო ენებიდან გადმოღებული სიტყვები) და მეტყველება ყველასგან გამორჩეულია. მოზარდები „საკუთარი“ ლექსიკის გამოყენებით, მუსიკით, ჩაცმულობის სტილით ხაზს უსვამენ მოზრდილებისგან განსხვავებულობაზე და ემიჯნებიან მათ. განსაკუთრებული სიხშირით გამოიყენებენ ანგლიციზმებს და ამერიკანიზმებს.

ნაშრომი გულისხმობს ინტერდისციპლინურ კონტექსტს. გამოკვეთილია სოციოლინგვისტური, სტილისტური, სემანტიკური, სიტყვაწარმოებით-სტრუქტურული ასპექტები. ენობრივი თავისებურებები, როგორც დავინახეთ, ეხება სიტყვაწარმოებას, სტილისტიკას, სიტყვების სესხებას, სემანტიკას, ფრაზეოლოგიას. მაგალითად, მოზარდები უპირატესობას ანიჭებენ შემოკლებულ ფორმებს (YOLO, B-Boy, B-Girl), დერივაციას (abchecken), კომპოზიციას (Kids-Box), მათ შორის, ჰიბრიდულ კომპოზიტებს (Wort-Checker), შეფასების გამოხატვის საშუალებებს (cool); ასევე ლექსიკური სემანტიკა: მნიშვნელობის ცვლილება, მაგალითად, მნიშვნელობის გაფართოება, სიტყვის ახალი კონოტაციური მნიშვნელობით გამოიყენება (geil, Mobbing). მოზარდების ლექსიკაში მკვეთრად არის გამოხატული ემოციურ-შეფასებითი მნიშვნელობის ელემენტები. გამოიყენებენ მისალმება/დამშვიდობების და მიმართვის ორიგინალურ ფორმებს, და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- გვენცადე, მ. (2009). *ლინგვისტური გერმანისტიკა. ზოგადი კურსი ბაკალავრიატის სტუდენტთათვის / Gwenzadse, M. Germanistische Linguistik im Überblick. Ein Lehr- und Arbeitsbuch für georgische BA-Studenten.* თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მახვილაძე, ლ. (2021). ახალგაზრდული ენა - კომპლექსური ენობრივი ფენომენი გერმანული ენის მაგალითზე. *გსსუ სამეცნიერო კვლევების ჟურნალი.* გსსუ მეთორმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები, ტ. III, #1, გვ. 115-121.
- Altmann, H. (1986). Jugendsprache heute. In: *Engagement. Zeitschrift für Erziehung und Schule.* 4, S. 304-322, Munster: Aschendorff.
- Bierstedt, R. (2020). Anglizismen in der Jugendsprache: Handreichung für Groß-/Eltern, um Teenager besser verstehen zu können Books on Demand. Abgerufen von <https://www.scribd.com/book/468471090/Anglizismen-in-der-Jugendsprache-Handreichung-fur-Gro%C3%9F-Eltern-um-Teenager-besser-verstehen-zu-konnen>
- Braun, P. (1987). *Tendenzen in der deutschen Gegenwartssprache. Sprachvarietäten* (2. Aufl.). Stuttgart, et al.: Verlag W. Kohlhammer.

- Deutsche Sprache: „I bims“ ist Jugendwort des Jahres. (17.11.2017). In: *Spiegel*. Panorama. dpa/him/koe, Abgerufen von <https://www.spiegel.de/lebenundlernen/schule/jugendwort-des-jahres-2017-ist-i-bims-a-1173278.html>
- DUW = *Duden. Deutsches Universalwörterbuch*. (2001). 4. neu bearb. und erw. Aufl. Mannheim, et al.
- DUW = *Duden. Deutsches Universalwörterbuch*. Das umfassende Bedeutungswörterbuch der deutschen Gegenwartssprache. (2015). 8., überarb. und erw. Aufl. Hrsg. von der Dudenredaktion. Berlin, et al.
- Elias, M. (2017). Jugendsprache. Abgerufen von https://vds-ev.de/wp-content/uploads/2017/02/ag-jugendsprache_dossier.pdf
- Elsen, H. (2001). Sonderlexik Jugend? In: Neuland, Eva (Hrsg.) *Jugendsprachen - Spiegel der Zeit*. Internationale Fachkonferenz 2001 an der Bergischen Universität Wuppertal. Frankfurt a/M. Berlin, et al.: Peter Lang, S. 261-275.
- Elsen, H. (2002). Neologismen in der Jugendsprache. In: *Muttersprache*. Jahrgang 112, Gesellschaft für deutsche Sprache [GfdS]. S. 136-154.
- Földes, Cs. (2019). „Jugendwort des Jahres“ kommunikative Realität oder mediale Konstruktion von Jugendsprache? In: *Wirkendes Wort* – Jg. 69 H.1, S 121-139.
- Glück, H. (Hrsg.). (2010). *Metzler Lexikon Sprache*. (4., akt. und überarb. Aufl.). Stuttgart et al.: J.B. Metzler.
- Glück, H./Sauer, W.W. (1990). *Gegenwartsdeutsch*. Bd. 252. Stuttgart: J.B. Metzler.
- Gwenzadse, M. (2002). *Einführung in die Stilistik der deutschen Sprache. Vorlesungsmaterialien und Seminarübungen für georgische Germanistikstudenten*. Tbilissi: Bakur Sulakauri Verlag.
- Götze L., Hess-Lüttich E.W.B. (2005). *Grammatik der deutschen Sprache. Sprachsystem und Sprachgebrauch*. Gütersloh/München: Bertelsmann Lexikon Institut.
- Henne, H. (1982). Jugendsprache und Jugendgespräche. In: H. Moser, H. Steger (Hrsg.), *Dialogstrukturen. Jahrbuch des IdS* 54, S. 370-384.
- Jugendsprache: Das Wörterbuch 2019. (31. Oktober 2019). In: *Fokus*. Abgerufen von <https://fokus.swiss/2019/10/woerterbuch-der-jugendsprache-2019/>
- Jugendwort des Jahres. Abgerufen von [https://de.wikipedia.org/wiki/Wort_des_Jahres_\(Deutschland\)#Jugendwort_des_Jahres](https://de.wikipedia.org/wiki/Wort_des_Jahres_(Deutschland)#Jugendwort_des_Jahres) (20.03.2024)
- Kleine Enzyklopädie. Deutsche Sprache* (1983). Leipzig: VEB Bibliographisches Institut.
- Kotthoff, H. (2011). Sprachwissenschaften: Anglizismen sind das neue ImponierDeutsch, In: *Zeit ONLINE Wissen*, URL: <http://www.zeit.de/wissen/2011-11/anglizismen-wissenschaftssprache>
- Machwiladse, L. (2015). Mangel an Ausdrucksmöglichkeiten? Zum angloamerikanischen Einfluss auf die deutsche Sprache. In: Toprak, M./Karabağ, İ. (Hrsg.). *"Migration und kulturelle Diversität"*. Tagungsbeiträge des XII. Internationalen Türkischen Germanistik Kongresses. Bd. II: Sprachwissenschaft und Sprachdidaktik. Frankfurt a. M.: Peter Lang, S. 63-75.
- Neuland, E. (2015). „Hey, was geht?“ Beobachtungen zum Wandel und Differenzierung von Begrüßungsformen Jugendlicher. In: *IDS Sprachreport* 31, 1 (S. 30-35).
- Neuland, E. Sprache in der Jugend und im Alter. (Interview_Eva_Neuland_Nachlese) Abgerufen von https://kulturinstitut.org/fileadmin/Sprachstelle/pdf_Publikationen/Nachlese/Sprache_und_Gesellschaft/Interview_Eva_Neuland_Nachlese.pdf (05.05 2022)
- Römer, Chr., Matzke, B. (2003). *Lexikologie des Deutschen. Eine Einführung*. Gunter Narr: Tübingen.
- Schmidt, W. (2008). *Deutsche Sprachkunde. Ein Handbuch für Lehrer und Studierende mit einer Einführung in die Probleme des Sprachkundlichen Unterrichts*. (8., bearb. Aufl.), Paderborn: IFB.
- Schmitz, H.-G. (2004). Anglizismen in der deutschen Gegenwartssprache, in der deutschen Sprachwissenschaft und im Deutschbuch. In: Karbelaschwili, S. (Hg.): *Germanistische Studien, eine Zeitschrift des Vereins Deutsche Sprache*, Georgien/Tbilissi, Bd.4. S. 66-81.
- Schrammen, G. (2012). Ey Alter, du bist voll der *Wort-Checker*. In: *Sprachnachrichten*, Verein Deutsche Sprache e.V. Dortmund, Nr.12, S. 21.

Was bedeutet „AF“ / „As f*ck“ auf deutsch? Bedeutung, Definition und Wortherkunft. In *Bedeutung Online*. Abgerufen von <https://www.bedeutungonline.de/was-bedeutet-af-as-fuck-auf-deutsch-bedeutung-definition-und-wortherkunft/>

REFERENCES

- Gwenzadse, M. (2009). *Germanistische Linguistik im Überblick. Ein Lehr- und Arbeitsbuch für georgische BA-Studenten*. [lingvist'uri germanist'ik'a. zogadi k'ursi bak'alavriat'is st'udent'tatvis]. Tbilisi: Ilia Chavchavadze State University Publishing House.
- Makhviladze, L. (2021). akh'algazrduli ena - k'omp'leksuri enobrivi penomeni germanuli enis magalitze [The Language of the Young - a Complex Language Phenomenon According to the German Language]. In: *gssu sametsniro k'vlebebis zhurnali [Journal of Scientific Researches of Gori State Teaching University]*. gssu metormet'e saertashoriso sametsniro k'onperentsiis shromebi [The Twelfth International Scientific Conference "Innovative Development of Education and Science: Directions, Challenges, Perspectives"], Vol. III, #1, pp. 115-121.
- Altmann, H. (1986). Jugendsprache heute. In: *Engagement. Zeitschrift für Erziehung und Schule*. 4, S. 304-322, Munster: Aschendorff.
- Bierstedt, R. (2020). Anglizismen in der Jugendsprache: Handreichung für Groß-/Eltern, um Teenager besser verstehen zu können Books on Demand. Abgerufen von <https://www.scribd.com/book/468471090/Anglizismen-in-der-Jugendsprache-Handreichung-fur-Gro%C3%9F-Eltern-um-Teenager-besser-verstehen-zu-konnen>
- Braun, P. (1987). *Tendenzen in der deutschen Gegenwartssprache. Sprachvarietäten* (2. Aufl.). Stuttgart, et al.: Verlag W. Kohlhammer.
- Deutsche Sprache: „I bims“ ist Jugendwort des Jahres. (17.11.2017). In: *Spiegel*. Panorama. [dpa/him/koe](https://www.spiegel.de/lebenundlernen/schule/jugendwort-des-jahres-2017-ist-i-bims-a-1173278.html), Abgerufen von <https://www.spiegel.de/lebenundlernen/schule/jugendwort-des-jahres-2017-ist-i-bims-a-1173278.html>
- DUW = *Duden. Deutsches Universalwörterbuch*. (2001). 4. neu bearb. und erw. Aufl. Mannheim, et al.
- DUW = *Duden. Deutsches Universalwörterbuch*. Das umfassende Bedeutungswörterbuch der deutschen Gegenwartssprache. (2015). 8., überarb. und erw. Aufl. Hrsg. von der Dudenredaktion. Berlin, et al.
- Elias, M. (2017). Jugendsprache. Abgerufen von https://vds-ev.de/wp-content/uploads/2017/02/ag-jugendsprache_dossier.pdf
- Elsen, H. (2001). Sonderlexik Jugend? In: Neuland, Eva (Hrsg.) *Jugendsprachen - Spiegel der Zeit*. Internationale Fachkonferenz 2001 an der Bergischen Universität Wuppertal. Frankfurt a/M. Berlin, et al.: Peter Lang, S. 261-275.
- Elsen, H. (2002). Neologismen in der Jugendsprache. In: *Muttersprache*. Jahrgang 112, Gesellschaft für deutsche Sprache [GfdS]. S. 136-154.
- Földes, Cs. (2019). „Jugendwort des Jahres“ kommunikative Realität oder mediale Konstruktion von Jugendsprache? In: *Wirkendes Wort – Jg. 69 H.1*, S 121-139.
- Glück, H. (Hrsg.). (2010). *Metzler Lexikon Sprache*. (4., akt. und überarb. Aufl.). Stuttgart et al.: J.B. Metzler.
- Glück, H./Sauer, W.W. (1990). *Gegenwartsdeutsch*. Bd. 252. Stuttgart: J.B. Metzler.
- Gwenzadse, M. (2002). *Einführung in die Stilistik der deutschen Sprache. Vorlesungsmaterialien und Seminarübungen für georgische Germanistikstudenten*. Tbilisi: Bakur Sulakauri Verlag.
- Götze L., Hess-Lüttich E.W.B. (2005). *Grammatik der deutschen Sprache. Sprachsystem und Sprachgebrauch*. Gütersloh/München: Bertelsmann Lexikon Institut.
- Henne, H. (1982). Jugendsprache und Jugendgespräche. In: H. Moser, H. Steger (Hrsg.), *Dialogstrukturen. Jahrbuch des IdS* 54, S. 370-384.
- Jugendsprache: Das Wörterbuch 2019. (31. Oktober 2019). In: *Fokus*. Abgerufen von <https://fokus.swiss/2019/10/woerterbuch-der-jugendsprache-2019/>

Jugendwort des Jahres. Abgerufen von

[https://de.wikipedia.org/wiki/Wort_des_Jahres_\(Deutschland\)#Jugendwort_des_Jahres](https://de.wikipedia.org/wiki/Wort_des_Jahres_(Deutschland)#Jugendwort_des_Jahres)
(20.03.2024)

Kleine Enzyklopädie. Deutsche Sprache (1983). Leipzig: VEB Bibliographisches Institut.

Kotthoff, H. (2011). Sprachwissenschaften: Anglizismen sind das neue ImponierDeutsch, In: Zeit ONLINE Wissen, URL: <http://www.zeit.de/wissen/2011-11/anglizismen-wissenschaftssprache>

Machwiladse, L. (2015). Mangel an Ausdrucksmöglichkeiten? Zum angloamerikanischen Einfluss auf die deutsche Sprache. In: Toprak, M./Karabağ, İ. (Hrsg.). *"Migration und kulturelle Diversität"*. Tagungsbeiträge des XII. Internationalen Türkischen Germanistik Kongresses. Bd. II: Sprachwissenschaft und Sprachdidaktik. Frankfurt a. M.: Peter Lang, S. 63-75.

Neuland, E. (2015). „Hey, was geht?“ Beobachtungen zum Wandel und Differenzierung von Begrüßungsformen Jugendlicher. In: *IDS Sprachreport* 31, 1 (S. 30-35).

Neuland, E. Sprache in der Jugend und im Alter. (Interview_Eva_Neuland_Nachlese) Abgerufen von https://kulturinstitut.org/fileadmin/Sprachstelle/pdf_Publikationen/Nachlese/Sprache_und_Gesellschaft/Interview_Eva_Neuland_Nachlese.pdf (05.05 2022)

Römer, Chr., Matzke, B. (2003). *Lexikologie des Deutschen. Eine Einführung*. Gunter Narr: Tübingen.

Schmidt, W. (2008). *Deutsche Sprachkunde. Ein Handbuch für Lehrer und Studierende mit einer Einführung in die Probleme des Sprachkundlichen Unterrichts*. (8., bearb. Aufl.), Paderborn: IFB.

Schmitz, H.-G. (2004). Anglizismen in der deutschen Gegenwartssprache, in der deutschen Sprachwissenschaft und im Deutschbuch. In: Karbelaschwili, S. (Hg.): *Germanistische Studien, eine Zeitschrift des Vereins Deutsche Sprache*, Georgien/Tbilissi, Bd.4. S. 66-81.

Schrammen, G. (2012). Ey Alter, du bist voll der *Wort-Checker*. In: *Sprachnachrichten*, Verein Deutsche Sprache e.V. Dortmund, Nr.12, S. 21.

Was bedeutet „AF“ / „As f*ck“ auf deutsch? Bedeutung, Definition und Wortherkunft. In *Bedeutung Online*. Abgerufen von <https://www.bedeutungonline.de/was-bedeutet-af-as-fuck-auf-deutsch-bedeutung-definition-und-wortherkunft/>